gwp
მეტი ვიდრე უბრალოდ წყალი
MORE THAN JUST WATER

№ OG23-08072I5 D 19.06.2023

შპს „ლიდოს“ ს/კ 205264998 დირექტორს

გიორგი გოშხოთელიანს

მის: ქ.თბილისი საირმის ქ.83

ტელ: 577 264 000

ბატონო გიორგი,

შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერმა“ განიხილა თქვენი 2023 წლის 15 ივნისის წერილი N IN23-0806054 და თქვენს მიერ წარმოდგენილი სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის გადაწყვეტილება N 65110757 (განცხადების ნომერი: AR1971411) ქ.თბილისში თ.დავითაიას ქ.N28-ში ს/კ 01.17.07.014.019 შემაკავებელი საყრდენი კედლის მოწყობის შესახებ.

გაცნობებთ, რომ შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“ თანახმაა განახორციელოთ ქ.თბილისში თ.დავიათაიას ქ.N28-ში ს/კ 01.17.01.014.019 შემაკავებელი საყრდენი კედლის მოწყობა.

პატივისცემით

ირაკლი ბაბუხადია

გენერალური დირექტორი



შპს "ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი"
ისანი-სამგორის ბიზნეს ცენტრი
შეთანხმებულია
ხელმძღვანელი
რეგ. № "19" 06 2023 წ.
სამუშაოების დაწყების წინ გამოძახებულ იქნას GWP-ს წარმომადგენელი
ტელ: 032 2 93 11 11

პირობითი აღნიშვნები

- მიწის ნაკვეთის საზღვრები
- შენობა
- •500 სიმაღლის ნიშნული
- ფოთლოვანი ხე
- წიწვოვანი ხე
- ბუჩქი
- ვენახი
- ჭის ლუქი
- ელ. ბოძი
- ასფალტის გზა
- ლითონის ზღუდე
- გაზის მილი
- კედელი
- წყალი

UTM სისტემის კოორდინატები

ტოპოგეგმა ქ.თბილისი, დასახლება ვაზისუბანი, II მ/რ, კორპუსი №1-ის მიმდებარედ ს/კ:01.17.07.014.019		
მისამართი:	ქ.თბილისი, დასახლება ვაზისუბანი, II მ/რ, კორპუსი №1-ის მიმდებარედ	
დამკვეთი:	შპს "ლიდო"	
აზომა		დ.ბზიშვილი
დახაზა		ი. ბათუაშვილი
მ: 1:500	ფართობი: 1212 კვ.მ.	16.06.2023

მიღება-ჩაბარების აქტი GWP-039687

ქ. თბილისი ____ - იანვარი - 2023 წ

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთი მხრივ **შპს „ლიდო“**, საიდენტიფიკაციო ნომერი: 205264998 (შემდგომში **„დამკვეთი“**) წარმომადგენელი გიორგი გოშხოთელიანის (პ/ნ 01026007472) მიერ და მეორე მხრივ შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“, საიდენტიფიკაციო ნომერი: 203826002 (შემდგომში **„შემსრულებელი“**) წარმოდგენილი მისი კომერციული დირექტორის გიორგი სვანიშვილის მიერ ვადგენთ წინამდებარე მიღება-ჩაბარების აქტს მასზედ, რომ „კომპანიამ“ მხარეებს შორის 2023 წლის ___ იანვარს გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად მოამზადა, ისანი-სამგორის რაიონი, ვაზისუბნის დასახლება , 2 მ/რ. # 1 კორპუსის მიმდებარედ „დამკვეთის“ საკუთრებაში არსებულ ნაკვეთებზე (ს/კ 01.17.07.014.019) განთავსებული წყალსადენის სატუმბო სადგურის და სატუმბო სადგურში შემავალი და გამომავალი წყალსადენის ქსელების გადატანის საპროექტო დოკუმენტაცია ღირებულებით 18000.00 (თვრამეტიათასი ლარი) ლარი. აღნიშნული თანხა მითითებულია დღგ-ის ჩათვლით.

„კომპანია“ „დამკვეთი“

შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“ შპს „ლიდო“

გიორგი სვანიშვილი გიორგი გოშხოთელიანი

GWP-039687

ხელშეკრულება საპროექტო და ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურების შესახებ

წინამდებარე მომსახურების ხელშეკრულება (შემდგომში „**ხელშეკრულება**“) გაფორმებულია ქ. თბილისში, 2023 წლის ____ იანვარს შემდეგ მხარეებს შორის:

ერთი მხრივ, **შპს ,,ლიდო“-ს** (საიდენტიფიკაციო ნომერი 205264998) (შემდგომში „**დამკვეთი**“), წარმომადგენლის გიორგი გოშხოთელიანის (პ/ნ 01026007472) მიერ;
და

მეორე მხრივ, **შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“**, საიდენტიფიკაციო კოდი 203826002 (შემდგომში „**ზედამხედველი**“), წარმოდგენილი მისი კომერციული დირექტორის გიორგი სვანიშვილის მიერ;

შემდგომში „დამკვეთი“ და „ზედამხედველი“ ერთობლივად მოხსენებული, როგორც „**მხარეები**“, ხოლო ცალ-ცალკე - როგორც „**მხარე**“.

1. **„ხელშეკრულების“ საგანი**

1.1. წინამდებარე „ხელშეკრულების“ საფუძველზე და მისი პირობების შესაბამისად, „დამკვეთი“ უკვეთავს, ხოლო „შემსრულებელი“ იღებს ვალდებულებას შეასრულოს წინამდებარე „ხელშეკრულების“ 1.2. პუნქტით გათვალისწინებული „მომსახურება“. „დამკვეთი“ თანახმაა, მიღებული „მომსახურების“ სანაცვლოდ, გადაუხადოს „შემსრულებელს“ შეთანხმებული ანაზღაურება.

1.2. წინამდებარე „ხელშეკრულების“ საფუძველზე გასაწევი მომსახურება (შემდგომში „**მომსახურება**“) გულისხმობს „შემსრულებლის“ მიერ, შესაბამისი ანაზღაურების სანაცვლოდ, ვაზისუბნის დასახლება , 2 მ/რ. # 1 კორპუსის მიმდებარედ „დამკვეთის“ საკუთრებაში არსებულ ნაკვეთებზე (ს/კ 01.17.07.014.019) განთავსებული წყალსადენის სატუმბო სადგურის და სატუმბო სადგურში შემავალი და გამომავალი წყალსადენის ქსელების გადატანის პროექტის შესრულება და პროექტით გათვალისწინებულ (შემდგომში „**ქსელი**“) სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებზე (გადატანა-გადალაგების) (შემდგომში „**პროექტი**“) ტექნიკური ზედამხედველობის გაწევას შემდგომში „ქსელის“ ექსპლუატაციაში მიღების მიზნით.

2. **მომსახურების ღირებულება და ანგარიშსწორების წესი**

2.1. წინამდებარე „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული „მომსახურების“ ღირებულება შეადგენს **39819.83** (ოცდაცხრამეტიათასრვაასცხრამეტი ლარი და ოთხმოცდასამი თეთრი) ლარს, წყალსადენის სატუმბო სადგურის და სატუმბო სადგურში შემავალი და გამომავალი წყალსადენის ქსელების გადატანის პროექტის ღირებულება შეადგენს **18000.00** (თვრამეტიათასი ლარი) ლარს, წყალსადენის სატუმბო სადგურის და სატუმბო სადგურში შემავალი და გამომავალი წყალსადენის ქსელების გადატანის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებზე ტექნიკური ზედამხედველობის გაწევის ღირებულება შეადგენს **21819.83** (ოცდაერთიათასრვაასცხრამეტი ლარი და ოთხმოცდასამი თეთრი) ლარს, თანხები მითითებულია დღგ-ს ჩათვლით. (შემდგომში „**მომსახურების ღირებულება**”).

2.2. „დამკვეთი“ „ზედამხედველს“ „მომსახურების ღირებულებას“ გადაუხდის წინასწარ, წინამდებარე „ხელშეკრულების“ ხელმოწერიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში შემდეგ საბანკო ანგარიშზე „მომსახურების საფასურის“ გადარიცხვის გზით:

მიმღები: შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“
ბანკი: სს „საქართველოს ბანკი“
ბანკის კოდი: BAGAGE22
ანგ. #GE80BG0000000277331100

3. **მხარეთა ვალდებულებები**

3.1 **„დამკვეთს“ უფლება აქვს:**

3.1.1 მოსთხოვოს „ზედამხედველს“ „მომსახურების“ გაწევა წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;

3.1.2 მოსთხოვოს „ზედამხედველს“ 3.2.9 მუხლში მითითებული დოკუმენტაციის სრულყოფილად წარდგენიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში დაადასტუროს შესრულებული სამუშაო ან მიაწოდოს „დამკვეთს“ დასაბუთებული უარი შესრულებული სამუშაოს მიღებაზე და თუ ეს შესაძლებელია, მისცეს მას რეკომენდაცია და დამატებითი ვადა ხარვეზების გამოსწორებისათვის.

3.2 „დამკვეთი“ ვალდებულია:

3.2.1 წინამდებარე „ხელშეკრულების“ გაფორმებიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე 1 (ერთი) სამუშაო დღისა, „ზედამხედველს“ გადასცეს სამშენებლო პროექტი, მშენებლობის განხორციელების გეგმა-გრაფიკი და პროექტთან დაკავშირებული ყველა ის ინფორმაცია და დოკუმენტი, რომელიც უკავშირდება პროექტს და/ან რომელსაც მოითხოვს „ზედამხედველი“, წინამდებარე „ხელშეკრულებით“ ნაკისრი ვალდებულებების სათანადო დონეზე განხორციელების მიზნით;

3.2.2 წინამდებარე „ხელშეკრულების“ გაფორმებიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე 1 (ერთი) სამუშაო დღისა, „ზედამხედველს“ აცნობოს მშენებლობაზე პასუხისმგებელი პირის სახელი, გვარი და საკონტაქტო ინფორმაცია, რომელიც სრულად იქნება პასუხისმგებელი პროცესის წარმართვაზე;

3.2.3 დაუყოვნებლივ აცნობოს „ზედამხედველს“ ნებისმიერი და ყველა ცვლილების შესახებ, რომელიც დაკავშირებულია „ქსელის“ სამშენებლო პროექტთან, შესრულების გრაფიკთან, კონტრაქტორის და/ან პასუხისმგებელი პირის ცვლილებასთან ან ნებისმიერი ისეთი ინფორმაციის ცვლილებასთან, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს „ქსელის“ მშენებლობის პროცესზე და/ან „ზედამხედველის“ მიერ წინამდებარე „ხელშეკრულებით“ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე;

3.2.4 სამშენებლო მოედანზე უზრუნველყოს შრომის და ტექნიკის უსაფრთხოების ნორმების დაცვა, უზრუნველყოს „ზედამხედველის“ წარმომადგენლის უსაფრთხოება და გადასცეს მას სპეციალური აღჭურვილობა, თუ არსებობს ამის აუცილებლობა;

3.2.5 „ზედამხედველის“ თანხმობისა და მის მიერ ადგილზე შემოწმების გარეშე, არ განახორციელოს ხილვადი სამუშაოების გადაფარვა;

3.2.6 „ზედამხედველთან“ შეათანხმოს საპროექტო დოკუმენტაციისა და ზოგადად პროექტის ყველა არსებითი ცვლილება;

3.2.7 მიაწოდოს „ზედამხედველს“ ინფორმაცია პროექტთან დაკავშირებული რისკების შესახებ;

3.2.8 გაითვალისწინოს „ზედამხედველის“ მითითებები და რეკომენდაციები;

3.2.9 „დამკვეთმა“ „ზედამხედველს“ აუცილებელია წარუდგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

- საბოლოო გადახდის სერთიფიკატი ე.წ. საბოლოო ფორმა N2-ს და საბოლოო ფორმა N3, რომელიც ასახავს „დამკვეთის“ მიერ ხელშეკრულების ფარგლებში განხორციელებულ მუდმივ სამუშაოებს.
- ფარული სამუშაოების აქტი - დოკუმენტს, რომელსაც ქმნის „დამკვეთი“ და ასახავს შესრულებული მუდმივი სამუშაოების იმ ნაწილის დასახელებას და მოცულობას, რომელიც იფარება და აღარ არის ხილული. დოკუმენტს ხელმოწერით ამოწმებს ზედამხედველი ინჟინერი.
- გამოყენებული მასალების სერთიფიკატები - ყველა გამოყენებული მასალის მწარმოებელი კომპანიის მიერ გაცემულ დოკუმენტს, რომელიც ადასტურებს გამოყენებული მასალის სპეციფიკაციის შესაბამისობას ხელშეკრულებასთან.
- მასალების ლაბორატორიული გამოცდის აქტი - აკრედიტირებული ლაბორატორიის მიერ გაცემულ დასკვნას, რომელიც ადასტურებს გამოყენებული ინერტული მასალის, ბეტონის, ასფალტის, და/ან სხვა საფარის, და/ან შესრულებული სამუშაოს შესაბამისობას ხელშეკრულებასთან.
- ჰიდრავლიკური გამოცდის აქტი - შეთანხმებული ფორმით წარმოდგენილ დოკუმენტს, რომელიც ასახავს ზედამხედველ ინჟინერთან შეთანხმებული მეთოდოლოგიით ქსელის ჰიდრავლიკური გამოცდის შედეგებს, რასაც ხელმოწერით ამოწმებს ზედამხედველი ინჟინერი.
- ქსელის გარეცხვის ლაბორატორიული შემოწმების აქტი - დოკუმენტს, სადაც მოცემულია ლაბორატორიის მიერ აღებული წყლის ნიმუშის შედეგები;
- საშემსრულებლო ნახაზი - ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების ელექტრონული ვექტორული(.mdb) და ნაბეჭდი ვერსია.
- მიღება-ჩაბარების სერთიფიკატი - „დამკვეთის“ მიერ წარმოდგენილ და მხარეების მიერ დამოწმებულ დოკუმენტს, რომელიც ასახავს შეთანხმებას მხარეებს შორის სამუშაოების დასრულებასა და მიღებასთან დაკავშირებით.
- ექსპლუატაციაში მიღების აქტი ნიშნავს კონტრაქტორის მიერ წარმოდგენილ და მხარეების მიერ დამოწმებულ დოკუმენტს, რომელიც ასახავს ხელშეკრულების ფარგლებში შესრულებული სამუშაოებისა და გამოყენებული მასალების /ძირითადი საშუალებების ექსპლუატაციაში მიღებას.

წინააღმდეგ შემთხვევაში „ზედამხედველი" იტოვებს უფლებას არ მოახდინოს მოწყობილი ქსელის ჩაბარება და ქსელზე მიერთება.

3.2.10 მოახდინოს ანგარიშსწორება წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლის შესაბამისად;

3.2.11 კეთილსინდისიერად შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

3.3 „ზედამხედველს" უფლება აქვს:

3.3.1 მოსთხოვოს „დამკვეთს" წინამდებარე „ხელშეკრულების" პირობების შესრულება;

3.3.2 მოითხოვოს „ქსელის" სამშენებლო სამუშაოების შეჩერება, თუ მიიჩნევს, რომ სამუშაოები სრულდება სამშენებლო დოკუმენტაციის დარღვევით, ირღვევა შრომის უსაფრთხოების წესები და/ან სამუშაოების გაგრძელება საფრთხეს უქმნის მესამე პირის ქონებას და/ან ჯანმრთელობას და მოსთხოვოს „დამკვეთს" მიიღოს ყველა საჭირო ზომა, რათა აღმოიფხვრას ასეთი გარემოებები;

3.3.3 გასცეს წერილობითი ან/და ზეპირი ინსტრუქციები საპროექტო დოკუმენტაციაში საჭირო ცვლილებების განხორციელების შესახებ, თუ მიიჩნევს, რომ არსებული პროექტი არ არის სრულყოფილი ან მისი განხორციელების შემთხვევაში შეუძლებელია დასახული მიზნის მიღწევა, რომელი ინსტრუქციებიც სავალდებულოა შესასრულებლად „დამკვეთისთვის". ყოველთვის, როდესაც არსებობს ამის პრაქტიკული შესაძლებლობა, „ზედამხედველის" მიერ ინსტრუქციები უნდა გაიცეს წერილობით. თუ „ზედამხედველი" გასცემს ზეპირ ინსტრუქციას, ინსტრუქციის მიღებიდან ორი სამუშაო დღის ვადაში „შემსრულებელს" უფლება აქვს მოითხოვოს ინსტრუქციის წერილობით დადასტურება, ხოლო თუ ასეთი მოთხოვნიდან ორი სამუშაო დღის ვადაში არ მიიღებს წერილობით უარყოფას, მაშინ მიიჩნევა, რომ „ზედამხედველმა" დაადასტურა ინსტრუქცია წერილობით. წინამდებარე პუნქტში მითითებული ვადები არ მოქმედებს იმ შემთხვევაში, თუკი „ზედამხედველის" მიერ გაცემული ინსტრუქცია არის დაუყოვნებლივ შესასრულებელი. ასეთ შემთხვევაში „შემსრულებელი" ვალდებულია, რომ დაუყოვნებლივ უარყოს მითითება მოტივირებული შენიშვნებით, ან შეასრულოს მითითება. მოგვიანებით აღნიშნულზე გაცემული წერილობითი ინსტრუქცია, ასეთის არსებობის შემთხვევაში, ატარებს მხოლოდ მითითების დაფიქსირების შინაარსს.

3.3.4 „ზედამხედველი" უფლებამოსილია, განახორციელოს „სამუშაოების" მონიტორინგი იმ სიხშირით, რასაც ის საჭიროდ მიიჩნევს „სამუშაოების" სპეციფიკის გათვალისწინებით.

3.3.5 „ზედამხედველის" მიერ აღმოჩენილი წუნდების ან არაჯეროვანი შესრულების დაფიქსირების შემთხვევაში, „ზედამხედველი" უფლებამოსილია, მოსთხოვოს „დამკვეთს" ხარვეზის დაუყოვნებლივ გამოსწორება, ხოლო თუ ეს შეუძლებელია, განუსაზღვროს მას გონივრული ვადა მის აღმოსაფხვრელად. თუ „დამკვეთი" არ აღმოფხვრის ხარვეზს, „ზედამხედველი" უფლებამოსილია მოამზადოს შესაბამისი ანგარიში, რომელიც გათვალისწინებული იქნება „ქსელის" ექსპლუატაციაში მიღების დროს და შესაძლოა გახდეს „ქსელის" ექსპლუატაციაში არ მიღების საფუძველი.

3.3.6 „ზედამხედველი" არ არის უფლებამოსილი, დაადასტუროს ისეთი შესრულება, რომელიც გამოწვეულია სამუშაოების ისეთი ცვლილებით, რომელიც არ არის მასთან შეთანხმებული. უარი განაცხადოს „მომსახურების" გაწევის გაგრძელებაზე, თუ „დამკვეთი" დაარღვევს მის მიერ მე-2 მუხლით ნაკისრ ვალდებულებას.

3.4 „ზედამხედველი" ვალდებულია:

3.4.1 განახორციელოს „ქსელის" სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობა წინამდებარე „ხელშეკრულებით" დადგენილი პირობების შესაბამისად; „ზედამხედველი" ვალდებულია, განახორციელოს სამუშაოების პერიოდული შემოწმება სამუშაოების სამშენებლო დოკუმენტაციასთან და „ხელშეკრულებასთან" შესაბამისობის დადგენის მიზნით.

3.4.2 „ზედამხედველი ინჟინერი" ვალდებულია, აკონტროლოს „სამუშაოების" პროგრესი „შემსრულებლის" მიერ წარმოდგენილი გეგმა-გრაფიკის შესაბამისად.

3.4.3 „ზედამხედველი ინჟინერი" ვალდებულია, ნებისმიერი საკითხი, რომელიც დაკავშირებულია „სამუშაოების" ცვლილებასთან, მოცულობასთან ან ტექნიკურ გადაწყვეტილებასთან დაადასტუროს, ან მოტივირებული შენიშვნებით უარყოს.

3.4.4 „ზედამხედველი ინჟინერი" უფლებამოსილია, მოსთხოვოს „შემსრულებელს", უზრუნველყოს სამშენებლო მოედანზე ან „სამუშაოებზე" დაქირავებული ნებისმიერი პირის გათავისუფლება, მათ შორის, შემსრულებლის წარმომადგენლის", იმ შემთხვევაში, თუ:

(ა) „სამუშაოების" ფიზიკური პროგრესი ჩამორჩება წარმოდგენილ გეგმა - გრაფიკს ზედიზედ ორი კვირის განმავლობაში;

(ბ) არაკომპეტენტურად ან დაუდევრად ასრულებს თავის ფუნქციებს, რაც რისკის ქვეშ აყენებს „სამუშაოების" დროულ და ხარისხიან შესრულებას;

(გ) მონაწილეობს იმ ქმედებაში, ან სათანადოდ არ რეაგირებს იმ ქმედების აღსაკვეთად, რომელიც საფრთხეს უქმნის „დამკვეთის“ ან/და „შემსრულებლის“ ან/და მესამე პირის უსაფრთხოებას, ჯანმრთელობას ან გარემოს დაცვას.

3.4.5 შეამოწმოს სამუშაოთა შესაბამისობა საპროექტო დოკუმენტაციასთან, აკონტროლოს შესრულებული სამუშაოს, გამოყენებული მასალისა და ტექნიკის ხარისხი პროექტისა და სამშენებლო წესების შესაბამისად;

3.4.6 წინამდებარე „ხელშეკრულების“ ხელმოწერიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს „ქსელის“ სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე 1 (ერთი) სამუშაო დღისა, გამოყოს „მომსახურებაზე“ პასუხისმგებელი პირი და „დამკვეთს“ მიაწოდოს მისი საკონტაქტო ინფორმაცია;

3.4.7 განახორციელოს სამშენებლო სამუშაოების ინსპექტირება იმ სიხშირით, რომელსაც ის საჭიროდ მიიჩნევს „ქსელის“ სამშენებლო სამუშაოების სპეციფიკის გათვალისწინებით;

3.4.8 „ქსელის“ სამშენებლო სამუშაოების სპეციფიკის გათვალისწინებით, დაადგინოს და შეატყობინოს „დამკვეთს“ სასმელი წყლის გათიშვის ყველაზე ხელსაყრელი პერიოდი;

3.4.9 „მომსახურების“ დასრულების შემდეგ „დამკვეთს“ წარუდგინოს მიღება-ჩაბარების აქტი და საჭიროების შემთხვევაში, მოითხოვოს „მომსახურების“ სრული და საბოლოო ანგარიშსწორება.

4. „ხელშეკრულების“ მოქმედების ვადა და შეწყვეტა

4.1 „ხელშეკრულება“ ძალაში შედის ორივე მხარის მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და ძალაშია მხარეთა მიერ თავიანთი ვალდებულებების სრულად შესრულებამდე.

4.2 წინამდებარე „ხელშეკრულების“ შეწყვეტა მისი მოქმედების ვადის ამოწურვამდე შესაძლებელია:

(ა) ერთ-ერთი „მხარის“ მიერ, თუ მეორე „მხარე“ დაარღვევს წინამდებარე „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებულ მის რომელიმე ვალდებულებას ან პირობას და მიუხედავად დარღვევის გამოსწორების თაობაზე წერილობითი მოთხოვნის (შეტყობინების) მიღებისა, ამავე მოთხოვნაში (შეტყობინებაში) მითითებულ ვადაში, არ გამოასწორებს ამგვარ დარღვევას;

(ბ) მხარეთა ორმხრივი წერილობითი შეთანხმებით.

4.3 „დამკვეთი“ ვალდებულია, მის მიერ „ხელშეკრულების“ ნებისმიერი მიზეზით ვადამდე შეწყვეტის (მოშლის) შემთხვევაში, „ზედამხედველს“ სრულად აუნაზღაუროს გაწეული „მომსახურება“ და „ხელშეკრულების“ ვადამდე შეწყვეტით მიყენებული ზიანი, ამგვარის არსებობის შემთხვევაში.

4.4 „მხარეები“ თანხმდებიან, რომ „ზედამხედველის“ მიერ „ხელშეკრულების“ შეწყვეტის (მოშლის) შემთხვევაში, „ზედამხედველის“ მიერ „ხელშეკრულების“ მოშლის შედეგად მიყენებული ზიანი (ზარალი) არ ანაზღაურდება და „დამკვეთი“ წინასწარ, გამოუთხოვადად და უპირობოდ უარს აცხადებს „ხელშეკრულების“ მოშლის შედეგად მიყენებული ზიანის (ზარალის), ამგვარის არსებობის შემთხვევაში, ანაზღაურების მოთხოვნაზე.

5. ფორს-მაჟორი

5.1 „მხარეები“ თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან „ხელშეკრულებით“ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის ან არადროული შესრულებისათვის, თუ აღნიშნული გამოწვეული იქნება ფორს–მაჟორული ვითარებით (შემდგომში „ფორსმაჟორული ვითარება“).

5.2 წინამდებარე „ხელშეკრულების“ მიზნებისათვის „ფორს–მაჟორული ვითარება“, შეზღუდვის გარეშე, მოიცავს: ომს, ამბოხებას, სამოქალაქო არეულობას, მიწისძვრას, ხანძარს, აფეთქებას, ქარიშხალს, წყალდიდობას ან სხვა სტიქიურ უბედურებებს, ასევე სახელმწიფო დაწესებულებების სხვა ქმედებასა და უმოქმედობას, რომელიც „მხარეთა“ გონივრული კონტროლის ფარგლებს სცილდება და რომლის დადგომაც წინამდებარე „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას შეუძლებელს ხდის.

5.3 „მხარე“, რომელსაც „ფორსმაჟორული ვითარება“ შეეხო, უმოკლეს ვადაში, მაგრამ ამგვარი გარემოების დადგომიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) კალენდარული დღისა, ვალდებულია, შეატყობინოს მეორე „მხარეს“ ამგვარი „ფორს–მაჟორული ვითარების“ თაობაზე, „ფორს–მაჟორული ვითარების“ ხასიათის და მისი შედეგების სათანადო აღწერით.

5.4 „ფორს–მაჟორული ვითარების“ დადგომის შემთხვევაში, „მხარეთა“ მიერ „ხელშეკრულებით“ ნაკისრი ვალდებულებების შესრულება გადაიწევს ამგვარი „ფორსმაჟორული ვითარების“ დამთავრებამდე/აღმოფხვრამდე.

5.5 იმ შემთხვევაში, თუ „ფორს–მაჟორული ვითარება“ გასტანს ზედიზედ 45 (ორმოცდახუთი) კალენდარულ დღეზე მეტ ხანს, თითოეულ „მხარეს“ უფლება აქვს მეორე „მხარისათვის“ გაგზავნილი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე, შეწყვიტოს წინამდებარე „ხელშეკრულება“ ამგვარი შეწყვეტის შედეგად პასუხისმგებლობის დაკისრების გარეშე.

6. მარეგულირებელი კანონმდებლობა და დავების გადაჭრის წესი

6.1 წინამდებარე „ხელშეკრულება“ რეგულირდება და განიმარტება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

6.2 „მხარეთა“ შორის წინამდებარე „ხელშეკრულებასთან“ დაკავშირებული ან მის საფუძველზე წარმოშობილი დავები წყდება მოლაპარაკების გზით. თუ „მხარეები“ მოლაპარაკების გზით ვერ მიაღწევენ შეთანხმებას, მაშინ დავის გადასაწყვეტად „მხარეები“ მიმართავენ საქართველოს შესაბამისი განსჯადობის სასამართლოს. „მხარეები“ თანხმდებიან, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ „ზედამხედველის“ სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილება უნდა მიექცეს დაუყოვნებლივ აღსასრულებლად საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის 1¹ ნაწილის შესაბამისად.

7. სხვადასხვა დებულებები

7.1 „ხელშეკრულების“ პირობების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია, თუკი ისინი შედგენილია წერილობით და ხელმოწერილია ორივე „მხარის“ მიერ.

7.2 წინამდებარე „ხელშეკრულების“ მიზნებისთვის „მხარეთა“ უფლებამოსილი (საკონტაქტო) პირები არიან:

დამკვეთისთვის:
შპს „ლიდო“ - გიორგი გოშხოთელიანი
g.goshkhoteliani@gmail.com
577264000

„ზედამხედველისთვის:
თეიმურაზ მახაშვილი
tmakhashvili@gwp.ge
599906988

7.3 წინამდებარე „ხელშეკრულება“ ცვლის და აუქმებს „მხარეებს“ შორის მის საგანთან დაკავშირებით მანამდე არსებულ ყველა წერილობით თუ ზეპირ შეთანხმებას, გარიგებას ან/და დათქმას.

7.4 წინამდებარე „ხელშეკრულების“ რომელიმე დებულების ბათილობა არ იწვევს მისი სხვა დებულებ(ებ)ის ან/და მთლიანად „ხელშეკრულების“ ბათილობას. ბათილი დებულების ნაცვლად, გამოიყენება ისეთი დებულება, რომლითაც უფრო ადვილად მიიღწევა „ხელშეკრულებით“ (მათ შორის ბათილი დებულებით) გათვალისწინებული მიზანი.

7.5 „მხარეები“ ადასტურებენ, რომ მათ გაცნობიერებული აქვთ წინამდებარე „ხელშეკრულების“ შინაარსი, იგი ზუსტად გამოხატავს „მხარეთა“ თავისუფალ ნებას და რომ მათ მიერ ნების გამოვლენა მოხდა „ხელშეკრულების“ შინაარსის გონივრული განსჯის შედეგად.

7.6 წინამდებარე „ხელშეკრულება“ შედგენილია 2 (ორი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და გადაეცემა „მხარეებს“.

ყოველივე ზემოაღნიშნულის დასტურად, „მხარეებმა“ უზრუნველყვეს წინამდებარე „ხელშეკრულების“ ხელმოწერა ზემოთ პირველად აღნიშნულ თარიღზე.

„დამკვეთი“
შპს „ლიდო“

გიორგი გოშხოთელიანის
წარმომადგენელი

„ზედამხედველი“
შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“

გიორგი სვანიშვილი
კომერციული დირექტორი